



თბილისი

აუდიტორული დასკვნა

შპს “პალიტრანიუსის” ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს “პალიტრანიუსის“-ს თანდართული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (ბალანსის) და მოგება-ზარალისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების აუდიტი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული შემოსავლების ანგარიშგების აუდიტი, ამავე თარიღით დამთავრებული წლისათვის.

აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებების მომზადებაზე და კონტროლზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა, ჩვენ კი გვევალება, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე და გავცეთ დასკვნა.

შპს “პალიტრანიუსის” მიერ წარმოდგენილი საბალანსო მონაცემებით, 2021 წლის განმავლობაში მიღებული საოპერაციო შემოსავლები 286 859 ლარს, ხოლო არასაოპერაციო შემოსავლები 33 607 ლარს შეადგენდა. სულ შემოსავლები კი 320 466 ლარს უდრიდა. ამავე პერიოდში სულ ხარჯები 1 403 719 ლარის ტოლი იყო. შესაბამისად, შპს “პალიტრანიუსის” 2021 წლის საანგარიშო პერიოდის ფინანსურმა ზარალმა შეადგინა 1 083 253 ლარი.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს “პალიტრანიუსის” აქტივები შეადგენდა 416 884 ლარს; ამავე პერიოდისთვის მათი ვალდებულებები 941 150 ლარს და მთლიანი კაპიტალი -524 266 ლარს შეადგენდა, ხოლო სულ პასივები უდრიდა 416 884 ლარს.

“თიბისი” ბანკი TBCBGE22, ანგარიშსწორების ანგარიში: **GE97TB1126936020100004**

საიდენტიფიკაციო კოდი 205243173, მისამართი: აღმაშენებლის გამზირი №117.

მობილური: 568254020, 595992928.


აუდიტი გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და შეფასებების სისწორის დადგენას, აგრეთვე წარმოდგენილი ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

შპს “პალიტრანიუსის” მიერ წარმოდგენილი ანგარიშგების განხილვით დადასტურებულია, რომ საწყისი და საბოლოო ნაშთების გადატანა ფინანსური მდგომარეობის (ბალანსის) ანგარიშგებასა და მოგება-ზარალისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში ნაწარმოებია სწორად და სრულად შესაბამისობაშია ბუღალტრული რეგისტრებისა და რეგისტრების ჩანაწერებთან.

ჩვენი აზრით, შპს “პალიტრანიუსის” მიერ წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და მოგება-ზარალის ანგარიშგება სამართლიანად ასახავს კომპანიის საქმიანობის შედეგებს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2022 წლის 28 აპრილი

შპს „ექსპრეს აუდიტი 2“-ის დირექტორი
სერტიფიცირებული აუდიტორი
ნ. ელაშვილი (სერტიფიკატი №5/468)
SARAS-A-587364



“თიბისი” ბანკი TBCBGE22, ანგარიშსწორების ანგარიში: **GE97TB1126936020100004**
საიდენტიფიკაციო კოდი 205243173, მისამართი: აღმაშენებლის გამზირი №117.
მობილური: 568254020, 595992928.